

სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა (1908 წელი)

გაზეთებში ღალადისი გაისმა ბოლო ხანს შესახებ იმისა, რომ სამნი ილიას მკვლელები, რომელთაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართულებას უღმრთოდ მოკლული პოეტისა, ეს სასიქადულო აზრი ჯერ გამოითქვა ქართულს გაზეთს „დროება“-ში, მერე მას ბანი მისცა ორმა რუსულმა გაზეთმა: „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“ და „ნოვისტი ზაკავკაზია“. ამის შემდეგ თვით საზოგადოებაში გამოიკვია ის აზრი, რომ არზა მიართვან გენ-გუბერნატორს სასჯელის შემცირებაზე ქართულის საზოგადოების წარმომადგენლებმა. თბილისის გარედაც შეიქმნა ძლიერი მოძრაობა, ამავე მიზნისაკენ მიმართული. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ბათუმიდან გამოგზავნილი დეპეშა, „დროების“ გუშინდელს ნომერში გაბეჭდილი.

მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა უკვდავი ილიას მეუღლისამ. კნენა ოლგა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს დაამზადა შესაბამი თხოვნა გენ-გუბერნატორის სახელობაზე; ხოლო, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირადად მიერთვა არზა, კნენამ სთხოვა „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის - ძე ყაზბეგს შუა-კაცობა ეკისრა და თხოვნა წარედგინა გენ-გუბერნატორისათვის. პატივცემულმა გიორგი ნიკოლოზის-ძემ დიდი სიამოვნებით იკისრა შუა-კაცობა და გუშინ სამშაბათს ინახულა გენერალ-გუბერნატორი და არზაც გადასცა. თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-გუბერნატორს სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისავით პატიება მტრებისაო. როცა გენერალს ყაზბეგს მიუერთმევია არზა გენერალ-გუბერნატორისათვის, ამ უკანასკნელს უპასუხნია: „საქმე ამ სამის მკვლელის ჩამოხრჩობაზე ჩემთან ჯერ არ წარმოუდგენიათ, ამიტომ ეხლა გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. როცა საქმეს წარმომიდგენენ, გულდადებით გადავშინჯავ, ჩავაკვირდები, და თუ შესაძლებელი იქნება, სიამოვნებით შევასრულებ მოკლულის ქვრივის სურვილსაო“.

ახლა საზოგადოებამ უნდა უცადოს გენერალ-გუბერნატორის გადაწყვეტილებას. ჩემი აზრით, ყოველგვარი აგიტაცია საქმეს, თუ ავნებს, არას დაეხმარება, არას შემატებს.

P.S. როდესაც ღრმა კაცთმოყვარეობით აღსავსე შუამდგომლობა ილიას მეუღლისა, რუსულად დაწერილი, დაიბეჭდა არა მარტო ადგილობრივს რუსულს გაზეთებში, არამედ სატახტო გამოცემებშიაცა, გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ დაწინაურებულს საზოგადოებასა და სალიტერატურო სფეროებში. ერთმა გამოჩენილმა და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორმა საუკეთესო რუსულ გაზეთში „Русская ведомости“ აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ შუამდგომლობას, და, სხვათა შორის, სთქვა: როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო

შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დაჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო. „აქამდინ ვიცოდითო, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო: ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან - საქართველოდან აღმოაშუქაო“.